სსიპ გარემოსეროვნულ სააგენტოს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„ქარქა ჰოლდინგი"** (ს/კ 412765529) წარმომადგენელი ვლადიმერ ცხვიტარიას (პ/ნ 01025014054)

ელ.ფოსტა. ladotskhvitaria@gmail.com
მობ: 595 78-58-38

# სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„ქარქა ჰოლდინგი"** გეგმავს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობას თხევადი საწვავით (ბენზინი, დიზელის საწვავი). ავტოგასამართი სადგურის მშენებლობა იგეგმება **მცხეთის რაიონში, მისაქციელი, სოფელი ნატახტარი,** მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი **72.03.22.628**, (GPS კოორდინატში X=477662.00; Y=4641438.00), რომლის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა მოსალოდნელია 1533 მ³ ოდენობით, საიდანაც 730 მ³ დიზელის საწვავი და 803 მ³ ბენზინის საწვავი.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად ავტოგასამართი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ამავე კოდექსისი მე-2 დანართის 6.3 პუნქტის თანახმად (ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობადა ექსპლუატაცია) ექვემდებარება სკრინინგის პროცედურების გავლას, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად თქვენი შენიშვნების გათვალისწინებით და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით

ვლადიმერ ცხვიტარია
მინდობილი პირი

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში;
დანართი: 2. მინდობილობა;

სს გარემოს ეროვნული სააგენტო
„19" 04 2023
№ 3333

დანართი: 2. მინდობილობა;



სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

65367958426822

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

**იურიდიული პირის (ასევე ინდივიდუალური მეწარმის) მონაწილეობით პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მინდობილობის/ რწმუნებულების დადასტურება**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N221112380**

რეგისტრაციის თარიღი

**29.08.2022 წ**

ნოტარიუსი: ზაალ ზაქარაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი. N 47
ტელეფონი: 595 07 52 44

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

Firefox

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდაცხრა აგვისტოს მე, ნოტარიუსს საქართველოში ზაალი ზაქარაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N47-ში, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა გიორგი ქარქაშაძე , როგორც შპს „ ქარქა ჰოლდინგი „- ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 412765529) დირექტორს და რომ ამჟამად იმყოფება ინდონეზიაში, ქ. ბალში და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გასცეს მინდობილობა და დაამოწმოს იგი სანოტარო წესით.

მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად გიორგი ქარქაშაძემ (დაბადებული: 01.03.1996 წელს, დაბადების ადგილი- საქართველო, ქუთაისი , პ/ნ 60001138020, მცხოვრები: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, წმინდა სამებას ქუჩა, N 4 -ში), მომმართა. ვადასტურებ, რომ ნამდვილად გიორგი ქარქაშაძე მესაუბრა და მოხდენილი იქნა მისი იდენტობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით. მიმნდობმა პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით წარმომიდგინა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი - საქართველოს მოქალაქის პასპორტი N 15AB18402;

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ იგი არის შპს „ ქარქა ჰოლდინგი „- ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 412765529) დირექტორი თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: **B22026784, 15/03/2022 17:03:51;**

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ: გრიგოლი მანცვარია (დაბადების თარიღი: 09.06.1978 წელს, დაბადების ადგილი - საქართველო, ქუთაისი, პირადი N 60001010188, მართვის მოწმობა N TH2019630; მისამართი : თბილისი ე.ამაშუკელის ქ. N 14ა ბ. 35) როგორც განმცხადებლის ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და ხვიჩა სებისკვერაძე (დაბ: 30.09.1977 წ. დაბადების ადგილი- საქართველო, ქუთაისი, პირადი N 60002007235, მცხოვრები: საქართველო, ქალაქი თბილისი, ნინო რამიშვილის ქუჩა, N 33, ბინა 37-ში), როგორც მოწმე.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე განვუმარტე, რომ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის" 26-ე მუხლის შესაბამისად: მოწმე უნდა იყოს წერა-კითხვის მცოდნე, მოწმეს არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული სამოქალაქო ქმედუნარიანობა და სანოტარო მოქმედებით არ უნდა იღებდეს სარგებელს პირდაპირი და არაპირდაპირი სახით, მოწმე არ შეიძლება იყოს სანოტარო მოქმედების მონაწილე რომელიმე მხარისა და ან ნოტარიუსის ნათესავი აღმავალი და დაღმავალი ხაზით მესამე რიგის ჩათვლით. ყველა მათგანმა განაცხადა, რომ მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები არ არსებობენ. მარწმუნებელს განვუმარტე, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. ამის შემდეგ მარწმუნებელმა ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის მინდობილობა:

მინდობილობა

მე, გიორგი ქარქაშაძე , როგორც შპს „ ქარქა ჰოლდინგი „- ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 412765529 ) დირექტორი ამ მინდობილობით ვლადიმერ ცხვიტარიას (დაბადებული: 28.04.1984 წელს, პ/ნ 01025014054) ვანიჭებ შემდეგ უფლებამოისლებას:

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს შპს „ ქარქა ჰოლდინგი „- ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 412765529 ), წარმომადგენელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ყველა

Firefox

კომპეტენტურ ორგანოში, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მათ შორის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში), ქალაქის მერიაში, მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ სამსახურებში, ადმინისტრაციულ და მუნიციპალურ ორგანოებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, ჩააბაროს საზოგადოების სახელით ნებისმიერი სახის განცხადება, ცნობა, დუბლიკატი, თანხმობა და სხვა დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ხელზე პასუხი, წერილი, მიმართვა და ა.შ, წარმომადგინოს და დაიცვას საზოგადოების კანონიერი ინტერესები.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი შევადგინე მე, ნოტარიუსმა, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე განმცხადებელს. განმცხადებელმა დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის გაცემისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობაზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს გრიგოლი მანდარიას .

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

მინდობილობა დამოწმებულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცა მხარეს, ხოლო ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში.

გადახდილია საქართველოს **კანონის** სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადები საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 32-ე მუხლის შესაბამისად **ოთხმოცდაათი** ლარი, აგრეთვე დღგ 16.20 ლარი და (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად) და სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის **საფასური ხუთი** ლარი თანახმად 39-ე მუხლისა. სულ გადახდილი საზღაური 111.20 ლარი.

ხელს აწერს გრიგოლი მანდარია ____________________

მოწმე ხვიჩა სეხნიკვერაძე ____________________

ნოტარიუსი: ზაალი ზაქარაშვილი

1.